რედაქციაში ჩვენს ჯვეყნის, ყველა!

მესუთე წელიწადი

კომუნისტი

შაბათი, 20 ივნისი 1925 წ.

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ⁂ თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10-49.

რედაქციაში საქმის-წერის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ელსამწერი ფასი: მუშა-მოსამსახურე, 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერი მიიღებენ „ჩრდილოსს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ცალკე—25 კ. სამკლეფიაროში—5 ოქტ. კუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღის ამბავი

— ამხ. კრასინი მოსკოვში დაბრუნდა.
— მოსარკისტული მოძრაობა გერმანიაში ძლიერდება.
— გერმანიის კომპარტია ემზადება ... ფილისთავისათვის.
— 500 გზასარაიელი გლეხის ... გაიჩეკვა.
— პოლონეთში სავაჭრო-სამრეწველო კრიზისი საშიშ ხასიათს იღებს.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 139 (1294)

გლეხური მეურნეობის ასაღორძინებლად

მუშურ-გლეხური მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს სასოფლო-მეურნეობის ასაღორძინებლად და ამ გზით გლეხობის ნივთიერი კეთილდღეობის დონის ასაწევად.

მკითხველი უკვე იცნობს პარტიის და ხელისუფლების იმ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის საწარმოო ძალების გაშლას და რომელსაც უწოდებენ „ახალი ეკონომიურ პოლიტიკას სოფლად“.

ერცელდება გლეხობაში აგრონომიული ცოდნა, რომ მან ისწავლოს მიწის რიგიანი მოვლა, განაყოფიერება, დამუშავება.

ჩვენ ვიცით, რომ მამა-პაპეული თოხით და ბარით გლეხი თავს ვერ დააღწევს სიღარიბეს. შეძლებისდაგვარად ყურადღება ექცევა მის მომარაგებას თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, აგრედვე მუშა-საქონლით.

ეწყობა იაფფასიანი საწარმოო კრედიტის მიწოდება გლეხობისათვის და წარმოებს უკანასკნელის შეკავშირება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში.

ჩვენი ქვეყნის სასოფლო-მეურნეობის აღორძინებისათვის კერძოდ უაღრესი მნიშვნელობა აქვს მელიორაციას, მიწების მორწყვას. ჩვენ განვიცდით სახნავ-სათესად გამოსადეგ მიწის სიუხვეს. ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ჩვენში მრავალი მიდამოები გამოუსადეგარია სასუნველ და გაცდენილია მოურწყველობის გამო. ყველას გვახსოვს ამხ. ლენინის სადირექტივო წერილი საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებში. იგი ჩვენს ყურადღებას აქცევდა სწორედ მიწის მორწყვის უაღრეს მნიშვნელობაზე.

ჭეიძლება თამამად ითქვას, რომ ამხ. ლენინის დირექტივას ჩვენი ხელისუფლება პირნათლად ასრულებს. საქართველოს გლეხობას წინედ სიზმარშიც არ მოელანდებოდა ის უდიდესი მუშაობა, რომელიც ამ დარგში დაიწყო ჩვენმა საბჭოთა ხელისუფლების დაჭყარების შემდეგ. სარწყავ არხების გაყვანის საქმე გრანდიოზული მასშტაბითაა დაყენებული. გუშინ ჩვენ ცნობა გვქონდა გამოქვეყნებული ამ მხრივ შესრულებულ, ეხლა მიმდინარე და განზრახულ მუშაობის შესახებ. წარშან გაიხსნა მაშეელის არხი. ამ დღეებში მოხდა გახსნა პირველი საბჭოთა არხის. წარმოებს ინტენსიური მუშაობა უდიდეს ტრიალფონის არხის გასაყვანად, რომელიც მორწყავს 30.000 დესეტინამდე მიწას. აგრედვე მიმდინარეობს მუშაობა ალაზნის თავლუწყდებელი ველის მოსარწყავად. ახლო მომავალში გაიხსნება შირაქის არხი.

აღსანიშნავი აქ ის არის, რომ თვით მოსახლეობა აქტიური და უშუალო მონაწილეობას იღებს ამ აღმშენებლობაში. იგი მხარში უდგია თავის მთავრობას, მის სამეურნეო ენერგიას და თაოსნობას უფართოესი გასაქანი აქვს მინიჭებული.

უახლოეს წლებში არხების საშუალებით საქართველოს ნიადაგი სულ ერთიანად გარდაიქმნება და ვეხობა აღარ იქნება ბრმა სტიქიის შემყურე.

ამავე დროს წარმოებს ჭაობების ამოშრობა. ამ მხრივ ჭალიდიის რაიონში დაწყებული მუშაობა უდიდეს ზედეგებს მოგვცემს.

მიწის სივიწროვის დაძლევა ჩვენში უნდა მოხდეს არა მარტო ამ გზით. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სამჭიდროვე სხვადასხვა ნაირია სხვადასხვა რაიონებში. არის თხლად დასახლებული ადგილები. მაგრამ არის ისეთი ადგილებიც, სადაც ვეხობას სამოსახლო მიწაც ენატრება. სახნავ, საბაღახო და სხვა მიწის საკმაო რაოდენობაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ასეთია, მაგ, რაჭა, რომლის მოსახლეობას, მიწის ბუნებრივ სივიწროესთან ერთად, მუდმივი მეწყერი უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს.

გადასახლების, ჩვენს მიწა-წყალზე მოსახლეობის რამოდენიმედ თანაბრად განაწილების საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანითაა წამოჭრილი. დიდი ხანია ეს საკითხი დგას და ელის მოწესრიგებას. ამ ბოლო დროს ამ მხრივაც გადადგმულია სათანადო ნაბიჯები. მიწად-მოქმედების კომისარიატი შეუთანხმდა სოფლო-სამეურნეო ბანკს გადასახლების ფონდის დაარსების შესახებ. ეს ფონდი განხრახულია დაახლოებით 65 ათასი მანეთი. ეს ცოტაა, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ ფულით მუშაობის დაწყება შეიძლება. ეს მუშაობა კიდეც დაწყებულია, ხდება; იმ მეკვალურთა გამოკვლევა, რომელსაც პირველ რიგში ესაჭიროებათ გადასახლება. საჭიროა გადასახლების მოსურნეთათვის ტრანსპორტის, ახალი ბინების აგების, კრედიტის მიწოდების, მიწების დარიგების საკითხების მოგვარება, უნდა მოეწყოს გადასახლების ბიუროები, რომელნიც ამ საქმეს პრაქტიკულად განახორციელებენ.

გადასახლების საკითხი მეტად რთულია, მისი გადაჭრა დიდ ორგანიზაციულ მუშაობას და საშუალებებს მოითხოვს, სამაგიეროდ ნაყოფი განუზომელი იქნება.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა აქტიური დახმარებით შეძლებს როგორც ამ საკითხის გადაჭრას, ისე სხვა ღონისძიებათა გატარებას, რომელთა მიზანია სასოფლო მეურნეობის აღორძინება, გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

რიცხვობრივ ზრდიდან თვისობრივ გაუმჯობესებაკენ

(კომკავშირის სრულიად საკავშირო ყრილობის გამო)

უკანასკნელათ ჩატარებულმა თებისა და რაიონულ აღმასკომების და აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციების არჩევნებმა ბევრი საყურადღებო მასალები მოგვცა. უპარტიო მასის არჩევნების ფართე კამპანიაში ჩაბმა, მშრომელი ხალხის საბჭოთა აღმშენებლობისადმი ინტერესის გაღვივება საუკეთესო გამოცდა იყო ჩვენი პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებისათვის მათი ნამოღვაწევის შესაფასებლათ და შემდეგი მუშაობის გეზის ასაღებათ.

განსაკუთრებით საგულისხმოა აქ ის შედეგები, რომელიც მოგვცა წარსულ არჩევნებმა საბჭოთა რესპუბლიკების მასშტაბით კომკავშირის მოღვაწეობის შესაფასებლათ. მაშინ, როდესაც კომუნისტური პარტია, მიუხედავათ იმისა, რომ მას გადაჭრით ჰქონდა აღებული კურსი უპარტიო მასის აქტიურ აღმშენებლობაში ჩასაბმელად და ენერგიულად ატარებდა ამ ხაზს, გამარჯვებით გამოვიდა არჩევნებიდან, კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირმა დაჰკარგა მრავალი ადგილი და ჩვენს ძირითად აღმასრულებელ ორგანოებში მას დღეს, შედარებით არჩევნებამდი არსებულ მდგომარეობასთან, უმნიშვნელო ადგილი უჭირავს.

და ეს მაშინ, როცა უკანასკნელი წელი კომკავშირის რიცხვობრივ ზრდის იშვიათი წელი იყო. რას უნდა მიეწეროს ეს მდგომარეობა? რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ როცა ორგანიზაცია გაიზარდა რიცხვობრივ, სწორეთ მაშინ იკლო მისმა ხდობამ ფართე ამრჩეველთა მასის თვალში? აქ კიდევ და კიდევ ისმება კითხვა კომუნისტურ ახალგაზრდობის ხელმძღვანელობის კითხვაც.

პარტიის მეთოთხმეტე კონფერენციის დადგენილებაში, რომელიც საგანგებოთ შეჩერდა კომკავშირში მუშაობის საკითხზე, ჩვენ სხვათა შორის შემდეგს ვკითხულობთ:

„უნდა გადაჭრით ვებრძოლოთ კომკავშირის წევრთა საბჭოთა და სოფლის სხვა ორგანიზაციების მუშაობაში ჩარევას და აგრეთვე ანტირელიგიურ პროპაგანდის დაუშვებელ მეთოდებს. ასეთ შემთხვევებში უნდა მაღებულ იქნეს ზომები თვით სოფლის, ან თემის ახალგაზრდათა ორგანიზაციების დაშლამდიაც კი“.

რეზოლიუციის ასეთი კატეგორიული და სასტიკი კილო შემთხვევითი, რა თქმა უნდა, არ ყოფილა. პარტიას არც ისე იოფად ღირს კომკავშირის ავტორიტეტი და რევოლიუციონური სიმტკიცე, რომ მან ცალკე შეუფერებელ გამოსვლებს, რომელ მაც სხვათა შორის ბოლო ხანს მასიური ხასიათი მიიღო, ანაცვალოს ამ კავშირის არსებობის ბედი.

ამნაირად მოსკოვში ლენინელ ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო კონფერენცია მიღის. ტელეგრაფის გადმოცემით კონფერენციის დღის წესრიგში ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომკავშირის იდეურ და რევოლიუციონურ თვითაქტივობრივ ლობის კითხვას. ეს გზა ერთად ერთი გზაა, რომლითაც კომკავშირი მოიპოვებს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში ისეთ ადგილს, როგორიც შეეფერება დღეს მის ორგანიზაციულ სიდიადეს და რომლითაც შეძლებს ის უმტკივნეულოთ გაეხაროს პარტიის მიერ მასზე დაკისრებულ ამოცანებს.

თვისობრივ გაუმჯობესებისაკენ,— ასეთია დღეს რიცხობრივათ გაზრდილ კომკავშირის უაღრესი მნიშვნელობის ამოცანა.

—ი—ა.

პრესა

როგორ იზრდება ჩვენი და „მათი“ ახალი თაობა

მთელ ცხოვრებასთან ერთად ჩვენში ხდება სკოლების გარდაქმნაც. ჩვენი სასწავლებლები ზრდიან ისეთ მუშაკებს, რომელნიც საკმაოდ იქნებიან აღუურვილი ნამდვილი მეცნიერული ცოდნით და გამსჭვალული არიან კაცობრიობის განთავისუფლების იდეებით, სოციალიზმის იდეებით. ჩვენი მოსწავლე თაობა მშრომელ ხალხთანაა უშუალოდ დაკავშირებული და ემსახურება შრომის საზოგადოების შეკ ნას.

რას ეხედავთ კაპიტალის სამეფოების სკოლებში, კერძოდ უნივერსიტეტებში? იქ, მაგ. სასტიკი ბრძოლა აქვს გამოკვეთილი დარვინიზმის, პროფესორ-დოვნინისტებს აძევებენ „მეცნიერების ტაძრიდან“. ხოლო სოზოგადოებრივი იდეალი, რომელსაც უნერგავენ ახალგაზრდობას, იმპერიალიზმსა და რეაქციონურ ნაციონალიზმში გამოიხატება.

ამ მხრივ საინტერესოა ის ანკეტა, რომელიც მოუხდენია სტუდენტებ შორის ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტს. ანკეტაში, სხვათაშორის, არის ასეთი კითხვა: რომელ ისტორიულ პიროვნებებს ეფასებთ ყველაზე მეტად. პასუხი ასეთია: ნაპალეონისათვის ხმა მუცია 181 ს, კლეოპატრასთვის 7 ს, ჟანნა-დე-არკისთვის 7-ს, ვილსონისათვის 1-ს, სოკრატისათვის 5-ს, მუსოლინისათვის 3-ს.

გაზ. „პრავდა“ ეხება ანკეტის ასეთ შედეგებს:

„პასუხი ღირსია ყურადღების. ამერიკის თანამედროვე ბურჟუაზიით ახალგაზრდობის **იმპერიალისტური** ზრახვები გამოიხატება **ბონოპარტის** კულტში.

თავის თავად იგულისხმება, ოჯროში ჩაფლულ ამერიკელ ახალგაზრდებს ბევრი არაფერი გაეგებათ ნაპოლეონის ომების ისტორიულ-რევოლიუციონურ ხასიათისა. მათ იტაცებს მილიტარიზმი, „ეკსპანსიონიზმი“, ქვეყნების და ხალხების დამორება. საბრალო ქოხის ტეს ერგო ერთი უკანასკნელი ადგილთაგანი.

ანკეტაში მეორე საკითხია: თანამედროვეობის რომელი ხელმძღვანელი პიროვნებები მიგაჩნიათ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანად? პასუხი გვირჩევნებს ამერიკულ უნივერსიტეტის

ამუნდსენის დაბრუნება

რუალდ ამუნდსენი

ნიუ-იორკი, 18 ივნისი. აქ მიღებული ცნობების თანახმად ამუნდსენი დაბრუნდა შპიცბერგზე.

რა ხდება უცხოეთში.

თეთრი ტერორი უნგრეთში

რატომ დაპატიმრეს ჰუნგრეთის შინაგან საქმეთა ყოფ. მინისტრი ბენიცკი.

ბუდაპეშტი (ჰუნგრეთის სატახტო ქალაქია) მორიგი სენსაციით იკვებება: დაპატიმრეს ყოფ. შინაგან საქმეთა მინისტრი ბენიცკი. ჰუნგრეთის დიქტატორის, მშრომელთა ჯალათის ხორტის ამ ყოფილმა თანამებრძოლმა პრესაში ხორტისათვის მტკვნ არასასიამოვნო ცნობები გამოაქვეყნა.

ბენიცკის სიტყვით, მან 1919 წლის სექტემბერში მიმართა ხორტის, რომელიც მაშინ თეთრი არმიების სარდალი იყო, საჩივრით თეთრგვარდიელ ოფიცრების უმზგავსი საქციელზე. ბენიცკის შეკითხვაზე: ექნება თუ არა ადგილი დარბევა-აწიოკებას ხორტის ჯარების შესვლის დროს ბუდაპეშტში, ხორტიმ ასე უპასუხა:

„არეულა-აწიოკებას ადგილი არ ექნება, მაგრამ ზოგიერთები კი აცურდებიან საკუთარ სისხლში“-ო.

დიდი ხვეწნა-მუდარისა და თხოვნების შემდეგ ხორტიმ აღუთქვა ბენიცკის, რომ მიიღებს ზომებს ოფიციერთა ასალგამავად. ამიტომ, როცა 1919 წლის ნოემბერში ხორტის ჯარები შევიდენ ბუდაპეშტში, ბენიცკიმ დაამშვიდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „ნეპშავა“-ს რედაქტორი სამოგია, რომელიც საზღვარ-გარეთ გაქცევას აპირებდა. ამ შემთხვევაში ბენიცკის ხორტის დაპირების იმედი ჰქონდა. რამდენიმე დღის შემდეგ ბენიცკის აცნობეს, რომ სამოგია და მეორე ჟურნალისტი ბაჩო, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ერთი კვირა გავიდა და მათი დასახიჩრებული გვამები, საშინელი წამების ნიშნებით, იპოვეს დუნაის ნაპირებზე. ბენიცკიმ გაიგო, რომ ორივე ჟურნალისტის მოკვლამდი რამდენიმე დღით ადრე, ოფიცერთა ერთი ჯგუფის კრებაზე წაკითხულ იქნა ბაჩოს წერილი და გადაწყდა მისი და რედაქტორის მოკვლა. ხორტიმ, როცა მეორე ამ კრებას დაესწრო, განაცხადა:

„რა საჭიროა ლაყბობა, საჭიროა მოქმედება“.

ეს სიტყვები ნიშანი იყო და ორ თეთრგვარდიელ ბანდიტს—ოსტენბურგსა და პრონაიის შორის გაიმართა დრ[illegible] ჭიშპობა, თუ ვინ უფრო [illegible] ასრულებს ხორტის სურვილს. ოსტენბურგი უფრო „ენერგიული“ აღმოჩნდა და მეორე ღამესვე დუნაიში დაალრჩო ჟურნალისტები.

არა ნაკლებ საყურადღებოა ბენიცკის მოთხრობა იმის შესახებ, რომ ხორტიმ, როცა გლეხთა პარტიის ბელად შაბოზე ლაპარაკობდა, სთქვა: „მას აი, ასე უნდა მოვეჭცეთო“ და ხელი ისე მოიქნია, თითქო ვილაცას დანა ჩასცა გულში. ბენიცკის მიერ ამ ცნობების გამოქვეყნებას მოჰყვა მისი დაუყოვნებლივ დაპატიმრება და იმ გაზეთის კონფისკაცია, რომელშიც ეს ცნობები იყო დაბეჭდილი.

რასაკვირველია, ბენიცკის ცნობებს არა აქვთ თავისთავად დიდი მნიშვნელობა. ყველასათვის ეჭვს გარეშეა, რომ ხორტი არის ჯალათი და არაზადა. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხორტის წინააღმდეგ გაილაშქრა ყოფილმა მისმა თანამებრძოლმა. ბუდაპეშტში დაბეჭდილებით ლაპარაკობენ, რომ ბენიცკის გამოსვლის შესახებ იცოდა ჰენგრეთის ახლანდელმა პრემიერმა ბეტლენმაო. ის ფაქტი, რომ ბეტლენმა და ბენიცკიმ გაბედეს დიქტატორის წინააღმდეგ გალაშქრება, მოწმობს, რომ ფაშისტ ადმირალის დიქტატურას უკანასკნელი დღეები დაუდგა.

ფაშისტური დიქტატურის შედეგები.

დეპუტატმა ბაროშმა (ბურჟუაზიულ-ლიბ. პარტიის წევრი) პარლამენტში შემდეგი გულშემზარავი ცნობები გამოაქვეყნა ჰუნგრეთში გამეფებულ ეკონომიური კრიზისის შესახებ.

წარმოებაში ჩაბმულ მუშების რიცხვი მთელს ჰუნგრეთში შემცირდა 30 პროცენტით, ბუდაპეშტში კი—60 პროცენტით. თუ უმუშევართა რიცხვს მიუმატებთ მათი ოჯახის წევრთა რიცხვს, მაშინ მარტო ბუდაპეშტში და მის მიდამოებში იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც არსებობის არავითარი საღსარი არ მოეპოვებათ, 250.000 კაცს აღემატება. მრეწველობა შემცირდა დაახლოებით 45 პროცენტით, სამთო-მრეწველობაში აშკარად 55.000 მუშის ნაცვლად მუშაობს მხოლოდ 8 6,000 კაცი, მანქანების საალმშენებლო ქარხნებში მუშების რიცხვი 50.000-დან 33.000-დე ჩამოვიდა. ხელოსანთა მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია.

თვითმკვლელობათა რიცხვი ბუდაპეშტში 50 პროცენტით გაიზარდა. ოჯის ინვალიდები თვეში სახელმწიფოსაგან იღებენ დახმარების სახით 18,000 ქაღალდის კრონას.

ბუდაპეშტში ეს ფული ეყოფა მხოლოდ მათ (თვის განმავლობაში) 4 დღეში ერთხელ მოგზაურობაზე ტრამვაით.

სხვა და სხვა ამბები

— **დასხის დასაფლავება.** კალკუტიდან მიღებული ცნობებით ინდოელ ნაციონალისტების ლიდერის დასხის დასაფლავებას არაჩვეულებრივათ საზეიმო ხასიათი ჰქონდა. პროცესია 8 საათს გაგრძელდა. ქალაქში ყველა დაწესებულებები დახურული იყო.

— **იტალიური გაფიცვა.** პარიზის რაიონის ქალაქის ტრანსპორტის ადმინისტრაციამ დაითხოვა პირველი მაისის გაფიცვის ლიდერები. პროტესტის ნიშნათ ტრანსპორტის მუშებმა იტალიური გაფიცვა გამოაცხადეს.

— **სალაყბოთ დამამთავრა მუშაობა.** დაიხურა კონფერენცია, რომელიც იხილავდა იარაღით ვაჭრობაზე კანტროლის დაწესების საკითხს.

— **საარჩევნო სისტემის გაუქმება.** სიფრანგეთის დეპუტატთა პალატამ ერთხმად სცნო საჭიროდ არსებული საარჩევნო სისტემის გაუქმება, მაგრამ პალატამ უარყო „სოციალისტ“ რენოდელის წინადადება რომ კომისიამ დაევალებოდა ახალი საარჩევნო სისტემის შემუშავება პროპორციონალურ საფუძვლებზე.

— **კრიზისი პოლონეთში.** პოლონეთის ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მიუხედავათ პასიური სავაჭრო ბალანსისა, მთავრობას იმედი აქვს, რომ მდგომარეობა გამოსწორდება. მიუხედავათ ამ განცხადებისა, ვაჭარ-მრეწველთა წრეებში მდგომარეობას კრიტიკულად სთვლიან.

— **გეჯაში.** გეჯასის მეფემ გუსეინმა მიიღო ინგლისის მთავრობის წინადადება სატახტო ქალაქის უფრო მოხერხებულ ადგილას გადატანის შესახებ. ჯერ არ იციან, თუ სად იქნება სატახტო ქალაქი.

— **გასამრთლების გადადება.** 15 ივნისისათვის ბუქარესტში დანიშნული იყო სამხრეთ-ბესარაბიაში აჯანყების მონაწილე 500 გლეხის გასამართლება. პროცესი რუმინეთის მთავრობამ ივნისის დამლევისათვის გადადვა.

— **პროექტი რუმინეთის მხეცობის წინააღმდეგ.** ჩეხო-სლოვაკიის პროფესორების და საზოგადო მოღვაწეთა ერთმა ჯგუფმა საპროტესტო მიმართვა გაუგზავნა რუმინეთის მთავრობას 500 ბესარაბიელი გლეხის გასამართლების გამო.

— **შრომის საერთაშორისო ბიუროს ახალი შემადგენლობა.** ერთა ლიგასთან არსებულმა შრომის საერთაშორისო სამუშომ აირჩია ბიუროს ახალი შემადგენლობა. თავმჯდომარეთ არჩეულია ფონტენი—საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელი, თავმჯდომარეების მოადგილეებათ: კარლიე—ბელგიის მუშახმობელთა კავშირის წარმომადგენელი და უდეგესტი—ამსტერდამის ინტერნაციონალის ვიცე-პრეზიდენტი, ჰოლანდიის ყვითელი პროფკავშირების წარმომადგენელი.

— **სესხი ბელგიას.** მორგანის ბანკმა (ამერიკაშია) სესხი მისცა ბელგიის მთავრობას 100 მილიონი მანეთის რაოდენობით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. ძრასინი მოსკოვში.

მოსკოვი, 19 ივნისი. ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. ძრასინი.

საჰაერო ბაზა.

ირკუტსკი, 19 ივნისი. მიღებულ იქნა რკინიგზით 3 სათადარიგო თვითმფრინავი, რომლებიც დატოვებული იქნებიან ირკუტსკში მოსკოვ-მონღოლეთ-ჩინეთის გადაფრენის დამთავრებამდე. ირკუტსკი დანიშნულია საჰაერო ესკადრილიის ბაზათ.

გაფარჩოებული ელევატორის პროექტი

ლენინგრადი, 19 ივნისი. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ჩრდილოეთ-დასავლეთის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა, რათა მას ნება მიეცეს ააგოს ლენინგრადის ნავთსადგურში ჰურის ახალი ელევატორი, რომლის ტევადობა იქნება 2,500,000 ფუთი.

უპარტიო გლეხები საპასუხისმგებლო ადგილებზე.

ეკატერინოსლავი, 19 ივნისი. კრასოროგის საოლქო აღმასკომმა დანიშნა საადგილ-მამულო სამმართველოს გამგის თანამდებობაზე უპარტიო გლეხი. უპარტიო გლეხები არჩეულ იქნენ აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგის და პროკურორის თანამემწის თანამდებობებზე.

საშინელი გრიგალი

ბარნაული, 19 ივნისი. გუბერნიის მთელ რიგ რაიონებში ამოიჭრა ძლიერი გრიგალი.

ჩუმიშის რაიონში გრიგალ[illegible] დაანგრია 50 სახლი და 60 ბეღელი; მოკლულია 12 კაცი, დაჭრილია მრავალი. დაიღუპა დიდძალი პირუტყვი.

სოფელ ნოვოკოპილოვოში გრიგალმა დაანგრია 20 სახლი. მოკლულია 16 კაცი.

ლატვიელ ჯაშუშთა სასჯელი.

მინსკი. 18 ივნ. ბელორუსიის უზენაეს სასამართლოში დაიწყო 12 ლატვიელ ჯაშუშის გასამართლება. ისინი „მუშამიდენ“ უმთავრესად ვიტებსკში, სადაც აგროვებდენ ცნობებს წითელი არმიის და საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და უგზავნიდენ ლატვიის „კონტრ-რაზვედკას“. სასამართლოში ჯაშუშების ერთი ნაწილი გამოტყდა დანაშაულში.

რ. ა. ლ. კომკავშირის საკავშირო კონფერენცია

ქამათი

მოსკოვი. 19 ივნისი. 17 ივნისის საღამოს და 18 ივნისის დილის სხდომებზე სწარმოებდა ქამათი ადგილებიდან მოსმენილ მოხსენებების გარშემო. ორატორებმა საერთოდ დამაკმაყოფილებლად სცნეს ცენტრალური კომიტეტის მუშაობა განვლილი დროის განმავლობაში და მიუთითეს ზოგიერთ ნაკლზე პრაქტიკულ მუშაობაში.

ამხ. შრუბზეს გამოსვლა.

ქამათის დროს რიგს გარეშე სიტყვა ეძლევა ამხ. ფრუნზეს, რომელსაც ხვდებიან მქუხარე ტაშით.

წითელი არმიის არსებობის პირველი დღეებიდანვე—ამბობს ფრუნზე—მას მჭიდრო იდეური და ორგანიზაციული კავშირი აქვს კომკავშირთან. კომკავშირი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის კულტურულ-პოლიტიკურ მომხადებასთან ერთად ისახავდა მთელ რიგ სხვა ამოცანებსაც. კომკავშირმა განსაკუთრებული ნაყოფიერი მუშაობა გაუწია სახლეკო ფლოტის აღორძინების საქმეში, რომელიც ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ახლა კი ჩვენი საზღვაო ფლოტი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის საიმედო დასაყრდენს.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი უნდა იქნეს თავდაცვის საკითხებისაკენ. ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უზრუნველსაყოფად ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ.

თავდაცვითი კომკავშირელი, რომელიც მოხვდება წითელ არმიაში, დისციპლინის და კულტურული განვითარების მაგალითს უნდა უჩვენებდეს უპარტიო მასებს. კომკავშირი არმიაში წარმოადგენს საბჭოთა და პარტიული გავლენის მაჯიუო გამტარებელს. მისი როლი ამ მხრივ ყოველ წლობით უნდა იზრდებოდეს.

საშინელი გრიგალი

ბარნაული, 19 ივნისი. გუბერნიის მთელ რიგ რაიონებში ამოიჭრა ძლიერი გრიგალი.

ჩუმიშის რაიონში გრიგალ[illegible] დაანგრია 50 სახლი და 60 ბეღელი; მოკლულია 12 კაცი, დაჭრილია მრავალი. დაიღუპა დიდძალი პირუტყვი.

სოფელ ნოვოკოპილოვოში გრიგალმა დაანგრია 20 სახლი. მოკლულია 16 კაცი.

ლატვიელ ჯაშუშთა სასჯელი.

მინსკი. 18 ივნ. ბელორუსიის უზენაეს სასამართლოში დაიწყო 12 ლატვიელ ჯაშუშის გასამართლება. ისინი „მუშამიდენ“ უმთავრესად ვიტებსკში, სადაც აგროვებდენ ცნობებს წითელი არმიის და საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და უგზავნიდენ ლატვიის „კონტრ-რაზვედკას“. სასამართლოში ჯაშუშების ერთი ნაწილი გამოტყდა დანაშაულში.

რ. ა. ლ. კომკავშირის საკავშირო კონფერენცია

ქამათი

მოსკოვი. 19 ივნისი. 17 ივნისის საღამოს და 18 ივნისის დილის სხდომებზე სწარმოებდა ქამათი ადგილებიდან მოსმენილ მოხსენებების გარშემო. ორატორებმა საერთოდ დამაკმაყოფილებლად სცნეს ცენტრალური კომიტეტის მუშაობა განვლილი დროის განმავლობაში და მიუთითეს ზოგიერთ ნაკლზე პრაქტიკულ მუშაობაში.

ამხ. შრუბზეს გამოსვლა.

ქამათის დროს რიგს გარეშე სიტყვა ეძლევა ამხ. ფრუნზეს, რომელსაც ხვდებიან მქუხარე ტაშით.

წითელი არმიის არსებობის პირველი დღეებიდანვე—ამბობს ფრუნზე—მას მჭიდრო იდეური და ორგანიზაციული კავშირი აქვს კომკავშირთან. კომკავშირი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის კულტურულ-პოლიტიკურ მომხადებასთან ერთად ისახავდა მთელ რიგ სხვა ამოცანებსაც. კომკავშირმა განსაკუთრებული ნაყოფიერი მუშაობა გაუწია სახლეკო ფლოტის აღორძინების საქმეში, რომელიც ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ახლა კი ჩვენი საზღვაო ფლოტი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის საიმედო დასაყრდენს.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი უნდა იქნეს თავდაცვის საკითხებისაკენ. ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უზრუნველსაყოფად ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ.

თავდაცვითი კომკავშირელი, რომელიც მოხვდება წითელ არმიაში, დისციპლინის და კულტურული განვითარების მაგალითს უნდა უჩვენებდეს უპარტიო მასებს. კომკავშირი არმიაში წარმოადგენს საბჭოთა და პარტიული გავლენის მაჯიუო გამტარებელს. მისი როლი ამ მხრივ ყოველ წლობით უნდა იზრდებოდეს.

საბჭოთა კავშირის თევზის სამრეწველოები

მოსკოვი, 18 ივნისი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დამტკიცა საბჭოთა კავშირის თევზის სამრეწველოების შესახებ დებულების პროექტი.

პროექტის თანახმად სათევზაო ადგილების ექსპლოატაციის უფლება ეკუთვნის მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაწესებულებებს და მოქალაქეებს. სათევზაო ადგილები იმყოფება სათანადო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ხელში. შეზღუდული სახელმწიფო თევზის სამრეწველოებიდან, რომელთაც აქვთ საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობა, [illegible] საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტებში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე თევზის სამრეწველოები იმყოფება სათანადო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების განკარგულებაში და მათი ექსპლოატაცია ხდება ადგილობრივ საგუბერნიო საადგილ-მამულო სამმართველოს ან სათანადო საადგილ-მამულო ორგანოების საშუალებით. შემოსავალი ადგილობრივ მნიშვნელობის გზონე სამრეწველოებიდან მიდის ადგილობრივ ბიუჯეტში.

თევზის მრეწველობაში ღონისძიებათა შესათანხმებლად, რ. ს. ფ. ს. რ.-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ყოველ წლის დასაწყისში იწვევს რ. ს. ფ. ს. რ.-ის, ბელორუსიის რესპუბლიკის, ამიერკავკასიის ფედერაციის, უზბეკისტანის, თურქმენისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წარმომადგენლობათა თათბირს.

მუშათა გამოგონებანი

სიმფეროპოლი, 18 ივნისი. სიმფეროპოლის ქარხნის „კრომპკოე მაშინოსტროენიე“-ს მუშა ხიოკმა გამოიგონა ახალი ხერხი ფოლადის ჩამოსასხმელად.

ჩამომსხმელი პრეპარატი, რომელსაც წინათ უცხოეთში ვიძენდით, ეხლა მზადდება ქარხანაში და ჯდება რამოდენიმეჯერ უფრო იაფად.

ტომსკი, 18 ივნისი. სადგურ ბოგოტოლის რკინის გზის დეპოს მუშა შულგინმა გამოიგონა დაზგა, რომელიც ორჯერ აადვილებს „ბოლტებისა“ და „გაიკის“ გაკეთებას.

ლენინგრადი, 18 ივნისი. ოქტომბრის სახელობის რკინის გზის მოსამსახურეთა ერთი ჯგუფის მიერ გამოგონილი იქნა რკინის გზის ისრის გადამყვანი, რომლითაც შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს მატარებელთა დაჯახება ისრის შეცდომით გადაყვანის გამო. რკინის გზის ისარს უკეთდება სავანგებო ბოქლომი და მეისრეს არ შეუძლია გასაღები გამოიღოს მანამ, სანამ ისარს არ გადაიყვანს. გასაღები მაშინვე გადაეცემა სადგურის უფროსს, რომლითაც მეისრე თავისუფლდება დაჯახების პასუხისმგებლობისაგან.

რკინის გზის ჭრებში გამოგონებას დიდ მნიშვნელობას აწერენ.

ნანსენის კომისია სომხეთში

ერევანი, 19 ივნისი. 18 ივნისს ნანსენის კომისია სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ლტოლვილთა საკითხის მომწესრიგებელ კომისიის წევრებთან და სპეციალისტებთან ერთად გაემგზავრა სარდარაბადში, სადაც დაათვალიერა ბამბის საწმენდი ქარხანა. ნანსენზე და მის თანამგზავრებზე ქარხანამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

კომისიამ დაათვალიერა არაქსის ნაპირები, სადაც გაეცნო სარდარაბადის პატარა და დიდ არხებს, გზასაგზაო ნაგებობებს და სარწყავ სისტემას.

დაგზა კომისიის წევრები ეცნობოდენ ადგილების სიმაღლეს, კლიმატურ პირობებს და ნათესების მდგომარეობას. 5 საათზე კომისია დაბრუნდა ერევანში.

ნანსენის კომისია 19 ივნისს საღამოს გაემგზავრა სადგურ ალაგეზში, სადაც გაეცნობა სარდარაბადის ველს.

20 ივნისს ნანსენი კომისიასთან ერთად მიემგზავრება ლენინაკანში შირაქის არხის გასახნავ.

მდგომარეობა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში

(საუბარი სამ. მუშ. და გლეხ. ინსპეკ. სახ. კომისართან და ს. კ. პ. ცენტრ. საკონტრ. კომისიის თავმჯდომარე მარე ამხ. ა. დოლიძესთან)

შრეული ოკისია ახალციხის და ახალქალაქის მაზრაში.—სასოფლო ორგანოების მუშაობა და კოოპერაცია ახალციხის მაზრაში სუსტია. ეროვნული უნდოგლობა ალმოფხვრილია.—რევოლიუციონური კანონიერება ტარდება.

ახალქალაქის მაზრაში გლეხობა დღემდე ვერ იცნობს საბჭოთა ხელისუფლებას.—იქ კვლავ დარჩენილია ბრძოლა და მუქარა.—გაუტანლობა და უფლება.—დღემდე მოუწესრიგებელია მიწის მოწყობის და საქონლის საკითხი.—გაუტარებელია დეკრეტი ეროვნული ენის ხმარების შესახებ.

ამიერკავკასიის ცაკთან არსებული შრეული კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ა[illegible] კ. ყველა რესპ. ბლიკების წარმომადგენელნი, ამ ჟამად მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. კომისიის მთავარი მიზანია გამოარკვიოს საბჭოთა ორგანოების საქმიანობა, მათი მუშაობის ხასიათი სოფლად, გამოიკვლიოს, თუ რამდენად დაუახლოვდა გლეხთა ფართო მასებს საბჭოთა აპარატი, წარმოადგენს თუ არა იგი გლეხის ინტერესების დამცველს, მისი პირ-ვარამის მკურნალ ორგანოს.

გუშინ კომისია დაბრუნდა ახალქალაქის და ახალციხის მაზრებიდან, სადაც მან ჩაჰყო და იმუშავა ამ მაზრების სამაზრო და სასოფლო ორგანოების გამოკვლევაზე ორი კვირა.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელს საუბარი ჰქონდა კომისიის ერთ-ერთ წევრ,—საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარ ამხ. დოლიძესთან, რომელმაც მას გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში წარმოებულ მუშაობის შედეგების შესახებ.

— საერთო სურათი, რომელიც გადაიშალა ჩვენი კომისიის წინაშე,— განაცხადა ამხ. ა. დოლიძემ,—არის ამ ორი მაზრის კულტურული ჩამორჩენილობა და ეკონომიური სიღატაკე. საბჭოთა ორგანოებს მართებთ აქ განსაკუთრებული სიფხიზლე და დაუზარელი მუშაობა, მაგრამ კომისია ყველგან ვერ შეხვდა საბჭოთა ორგანოებში მომუშავეების მხრივ თავის დანიშნულების მტკიცე შესრულებას, რის გამოც საბჭოთა აპარატის მუშაობა საერთოდ ორივე მაზრაში მოისუსტებს.

ახალციხის მაზრა

კერძოთ ახალციხის მაზრაზე შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ორგანოების მხრივ არის ცდა დაუახლოვდენ გლეხთა ფართო მასებს. სამაზრო აპარატი გამოწვრთნილ ხელმძღვანელთა ხელშია. მოფიქრებული და გონიერი საქმიანი მუშაობით ახალციხის მაზრაში სრულიად აღმოფხვრილია ეროვნული შუღლი და უნდობლობა. კარგათ არის გადაჭრილი აგრეთვე სარწმუნოების საკითხი. ამის შესახებ კომისიას გლეხებისაგან არ გაუგონია საყვედური ძალზე მოისუსტება ახალციხის სოფლებში კოოპერაცია, რომელსაც დღემდე ვერ შემოუკრებია თავის მაშა გლეხთა ფართო მასებთან დაახლოვებლად, მაზრაში მომუშავე ამხანაგებს დაევალათ ხშირად იმოგზაურონ თემებსა და სოფლებში.

კომისია კმაყოფილი დარჩა პროკურატურის მუშაობით ახალციხის მაზრაში. ამ დარგში მომუშავე ამხანაგებს სათანადოთ შეუგნიათ რევოლიუციონური კანონიერების გატარების მნიშვნელობა. პროკურატურას შეძლებისდაგვარად უწარმოებია მუშაობა რევოლიუციონური კანონიერების დასამყარებლად. კომისია მაზრის გამასწორებელ სახლებში წააწყდა არა ერთ პასუხისმგებელ პირს და მათ შორის კომუნისტებსაც, რომელნიც დაუპატიმრებიათ კოოპერატიული ფულების გაფლანგვისათვის ან გლეხობის ფიზიკური შერაცხვისათვის.

საერთოდ ახალციხის მაზრაში მდგომარეობა არც ისე უნუგეშოა.

ახალქალაქის მაზრა

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ახალქალაქის მაზრა, სადაც ძალიან პატრონს ვერ სცნობს. მაზრაში სრული ქაოსია გამეფებული. გლეხობა დღემდე ვერ იცნობს საბჭოთა ხელისუფლებას და არა აქვს არავითარი წარმოდგენა მის ბუნებაზე. ამიტომ აქ არ არსებობს არც პარტიული და არც საბჭოთა გავლენა. ამას კი შედეგად მოსდევს ათას გვარი ბოროტმოქმედება. ამ ორი თვის წინად მუშათა და გლეხთა ინსპექციის განკარგულებით იქ მოიხსნა სრული უმოქმედობისათვის 18 პასუხისმგებელი მუშაკი. შერეულმა კომისიამ დაადასტურა მათი მუშაობის უმზგავსობა, რომლის წყალობით მაზრაში სრული ქაოსი შექმნილა. ახალქალაქის მაზრაში კვლავ მძვინვარებს ანტისაბჭოთა პარტიების მიერ დათესილი შხამი—ეროვნული შუღლი და უნდობლობა, რომელსაც კვლავ აღვივებენ საბჭოთა ხელისუფლების აშკარა მტრები და პასუხისმგებელი პირებიც თავის უტაქტო მოქმედებით.

ახალქალაქის მაზრაში შექმნილი ქაოსის და ეროვნული გაუტანლობის წყაროდ უნდა ჩაითვალოს: ადგილობრივი ორგანოების სრული უმოქმედობა და ალაგ ბოროტმოქმედება, მიწად მოწყობის და საძოვრების საკითხის მოუგვარებლობა. ეროვნული ენის ხმარების შესახებ დეკრეტის გაუტარებლობა.

დღემდე მაზრაში არ არის გატარებული მიწის დაყოფა, საძოვრების განაწილება და დაწესებულებებში არ იხმარება ხალხის ფარგი მასალათა გასაგები ენა. ამით სარგებლობენ აქ-იქ მიმალული ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთები და სთესენ მაზრის ჭრელ მოსახლეობაში ეროვნულ უნდობლობა-გაუტანლობას.

საქმის საბოლოოდ გამოკვლევად კომისია კიდევ მოუხდება ამ მაზრაში დაბრუნება. ამ ჟამად ახალქალაქის მაზრაში მუშაობს კომისიის მიერ დანიშნული ხუთეული.

პარტიული ცხოვრება

ჩვენს მაზრაში

(გორის ამბავზრ. კლენუშის)

სოფელთან ცოცხალი კავშირის განსამტკიცებლად მაზრკომის პრეზიდიუმის წევრები განუწყვეტელივ იმყოფებიან რაიონებში და უკრედებენ. სწარმოებს უკრედების და რაიკომების გადათვალიერება, რის შემდეგ ეძლევათ სათანადო რჩევა-დარიგებები.

აგრეთვე საორგანიზაციო კოლეგიის სხდომებზე სწარმოებს უკრედების მდივნების გამოძახება, რომლებიც აკეთებენ მოხსენებებს თავიანთ მუშაობის შესახებ.

ჰარტ-მუშაობა სოფლად ზაფხულის პერიოდში შენელდა ხშირია ისეთი უკრედები, რომლებიც სხდომებს იწვევენ თვეში ერთხელ, ან კიდევ უფრო გვიან. საერთოდ სოფლის უკრედები სუსტია. პარტწევრების პოლიტიკური დონის სიდაბლის გამო.

პარტ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის ქ. გორში გახსნილია პარტსკოლა, რომელშიაც მიეცადინეობს 47 კურსანტი და ხაზუოდი არსებობს მოძრავი პოლიტ-სკოლა.

ქალთა შორის მუშაობას მაზრაში აქვს სასურველი ნიადაგი, ქალები ღებულობენ მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში, ჩაბმულნი არიან საბჭოებში, გლეხკომებში და სხვა. მაზრაში ამჟამად ითვლებიან 1000-დე ქალთა დელეგატები, რომლების კრებები სწარმოებს სისტემატიურად.

ჩატარებულია მუშაობა აბრეშუმის პაპას დასამუშავებლად.

კავშირი პარტიასა და კომკავშირს შორის კარგია, სწარმოებს ურთიერთ წარმომადგენლობა როგორც მაზრის და რაიონის ცენტრებში, აგრეთვე უკრედებში.

საბჭოთა მუშაობა საერთოდ გამოცოცხლდა; ეს აიხსნება იმით, რომ მაზრაში არსებული 14 რაიონიდან მასკომის ნაცვლად დაარსდა 40 თემმასკომი, რომლებშიაც უპარტიო გლეხობა ჩაბმულია 80 პროცენტით

პარტკორი შ. ბენიაშვილი.

მაღლობა ჰპეროდრომის უკრედს

(სოფ. პავარა-ლილო, გარე ხაზეთი)

ეს მართლა პატარა სოფელი მდებარეობს თბილისიდან 7—8 ვერსით დაშორებული, სადაც ირიცხება 80-ამდე კომლი ხალხი.

აქ არ არსებობდა ერთად-ერთ სკოლის გარდა არაფერი.

მაგრამ დავეხმარა შეფი ჰეზობლად მფენებარე ჰაეროდრომის უკრედი ისინი მოგკუეთეს: პური, ნავთით და სხვა პროდუქტებით, მათ გაუხსნეს სკოლას და მოუფენეს უდიდესი დახმარება, გახსნეს ქოხ-საკითხეული, გამოიღეს ფული გლეხკომის და რძის ქარხნის სახლის ასაშენებლად, რომელიც დამთავრება ამ დღეებში.

მასწავლებელი.

მთავარ სახელოსნოებში

(სამლებრო და ძალია განწყობილების საბრძოლო უკრედი)

12 ივნისს ჩვენი კომუკრედის მორიგ კრებაზე თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გაიმანი, მდივნად—სარევიკი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება მე-14 პარტკონფერენციის შედეგებზე 2) მთავარ სახელოსნოების ძალთა განწყობილების განყოფილების გამგის მეტეხელის მოხსენება და 3) მიმდინარე საკითხები. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ახლად პარტსკოლის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდამ, ამხ. გაიმანმა; ძალთა განწყობილების განყოფილების გამგემ მეტეხელამ კი გაგვაცნო ია, თუ რა მნიშვნელობა აქვს მთავარ სახელოსნოებისათვის მანქანებს, რომლებიც ეკუთვნიან ძალთა განწყობილების განყოფილებას. მის მოსმენების გაძო კრება გამოიტანა სათანადო რეზოლიუციას, სადაც კრება სთხოვს ადგილკომს, რათა ამხ. მეტეხელი, როგორც პარტიული მუშაკი და მასთან გამომგონი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს შრომის ნაყოფიერების ზრდას, იქნეს აღნიშნული წითელ დაფაზე.

პარტკორი წამალაძე.

საბჭოთა აპარატის განმტკიცება

საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ საქართველოს ცაკთან არსებულ თათბირის მუშაობა

თათბირის კომისიებმა დაამთავრეს მუშაობა. —უკვე გაჭიანურებულია 12 დაზრა.—თათბირის პლენუმის სხდომა შედგება 1-ლ ივლისს.

საქართველოს ცაკთან არსებულ საბჭოთა აღმშენებლობის თათბირის მიერ გამოყოფილმა კომისიებმა უკვე დაამთავრეს თავისი მუშაობა. ეს უკანასკნელი გრძელდებოდა თვენახევარი და ის მდგომარეობა იმაშია, რომ შედგენილი იქნა სათანადო დებულების პროექტები, რომელთა მიზანია ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატების განმტკიცება.

გუშინ დაამთავრა მუშაობა იმ კომისიამ, რომელიც იმუშავებდა პროექტს დებულებისა სათემო ბიუჯეტის შესახებ.

თავდება აგრეთვე მაზრების გამოკვლევა. დღეისდღეობით თათბირის წევრებმა გამოიკვლიეს უკვე საქართველოს 12 მაზრა. იმ ამხანაგების უმრავლესობა, რომლებიც გამოკვლევას ახდენდენ, უკვე დაბრუნდა თბილისში.

25 ივნისს დამთავრდება გამოკვლევის მასალების დამუშავება. ამ ჟამად სწარმოებს მასალების დალაგება. ეს მასალები ეხება მაზრების სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ცხოვრების თითქმის ყველა მხარეებს, ამ მასალებში დაწვრილებით აღნიშნულია მაზრების ეკონომიური მდგომარეობა და გამოკვეთილია საბჭოთა აპარატის მდგომაოების საკითხები. მასალები შეეხება აგრეთვე ქალთა მოძრაობის მდგომარეობას, ეროვნულ საკითხებს, ეროვნული ენის ხმარების საკითხს, ეროვნული ენის ხმარების შესახებ დეკრეტის გატარების საკითხს და სხვა.

ამ მასალების საფუძველზე თათბირის კომისიები შეადგენენ საბოლოო დასკვნებს, რომლებიც წარედგინებიან თათბირის პლენუმს.

თათბირის პლენუმის სხდომა შედგება 1-ლ ივლისს.

არსენალის რაიონის უპარტიო მ

ჩვენი სოფლის პირ-პარამში

სახელი გლეხობის სახრავი გლეხკომის თავმჯდომარეების

ასევე უანდაურის გლეხკომის თავმჯდომარის შესახებ

პატარა განმარტება

„კომუნისტი“-ს 7 ივნისის №-ში მოთავსებული იყო წერილი სათაურით „ცბერის ტყავში გამოხვეული მგელი“, რომლის ავტორიც სამართლიანად მოითხოვს პასუხს კომისიასგან, რომელიც დანიშნული იყო სოფ. უანდაურის გლეხკომის თავმჯდომარის ისიდორე ფხალაძის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების გამოსარკვევად.

წერილის ავტორი „ეკალი“ სწერს, რომ ხსენებულმა კომისიამ ალბათ ვერაფერი გააკეთა, რადგან ისიდორე ფხალაძე ისევ თავისუფლად დათარეშობსო.

ამაზე უნდა უთხრა, რომ სარევიზიო კომისიამ ას საქმეს მუყაითად მოჰკიდა ხელი, წავიდა ადგილობრივ და ორი დღის მუშაობის შემდეგ დარწმუნდა, რომ „კომუნისტი“-ს საშუალებით ისიდორე ფხალაძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები, რაც მოკლეთ ჩამოყალიბებული იყო სიტყვებში—„სახელი გლეხობის, სახრავი გლეხკომის თავმჯდომარის“—სინამდვილეს შეიცავდა.

ამიტომ კომისიამ დაადგინა დაუყოვნებლივ მოხსნილიყო ისიდორე ფხალაძე.

კომისიას არ შეეძლო თავის ნებით მოეხსნა ის თანამდებობიდან. ეს დადგენილება სისრულეში უნდა მოეყვანა სიღნაღის სამაზრო გლეხკომს.

პირადათ მეც, როგორც კომისიის ერთ-ერთ წევრს, მიკვირს ეს დადგენილება რატომ დღემდე არ არის მოყვანილი სისრულეში.

ფხალაძეს რომ უთქვამს—„მე ისეთი მფარველები მყავს, რომ ვერავინ ვერაფერს დამაკლებსო“—შეიძლება ეს მართლა ასეც იყოს და ამიტომ მიიძინა ამ საქმემ.

ვ. აკობაშვილი.

გლეხკომის თავმჯდომარე სპეკულიანტებს უგდებს ხელში ხალხის ქონებას

სოფ. დვალიშვილები (ქუთაისის მაზ.)

(ქუთაისის სამაზრო გლეხკ. და სოც. უზრუნვ. სახ. კომ. საყურადღებოდ)

სოფელ დვალიშვილების გლეხკომის თავმჯდომარეობა ხურციძე. გლეხკომის თავმჯდომარეობით სარგებლობს ეს კარგათ გამოქნილი და გაძვერა კაცი, რომელიც ზარალს აყენებს საბჭოთა ხელისუფლების სალარისაც, თავისი უპასუხისმგებლო საქციელით. საქმე შემდეგშია. ამ სოფელში არის აბანოები განთქმული თავისი კარგი ღირსებით. ზაფხულობით დიდძალი ხალხი აწყდება აბანოებს ყოველ კუთხიდან. ეს აბანოები ყოველ წლიურად იცავდა საჯარო ვაჭრობით იჯარით.

ივანემ ხურციძემ მოაწყო საქმე თავის სასარგებლოდ. ამა წლის მაისის შუა რიცხვებში მაზრის ინსპექტორის თანდასწრებით დანიშნული საჯარო ვაჭრობა ჩაიშალა და ან წერილობით სთხოვა მაზრის ინსპექტორს მეორეჯერ ყოფილიყო წაყრებრება და თანხმობა მიიღო ინსპექტორისაგან, საქმე გაათავა, როგორც უნდოდა, თავის სასარგებლოდ ხალხის ქონება.

ამ გზათა სიგრძე ოკაბეჭდილის ცალკე რაიონებში ასეთი იქნება: აღმოსავლეთ საქართველოში საახ რეთ ოსეთით—620 ვერსი, დასავლეთ საქართველოში—1.350, აფხაზეთში—700 და აჭარისტანში—230 ვერსი, ე. ი. მთელი სიგრძე გზებისა უდრის—2870 ვერსს. ეს გზები იქნებიან სამმართველოს საერთო ხელმძღვანელობის და უმაღლეს ტექნიკური თვალყურის დევნების ქვეშ საქმის წარმოების დროს.

საერთო გზების აშენების თანხა აღნიშნულ გეგმის თანახმად გამოანგარიშებულია 30 მილიონ მანეთის ფარგლებში.

საერთო სქემა აღნიშნული გზების ასაშენებლად მიღებულია ისე, რომ თვითეული მათგანი იყოს დაკავშირებული ურთიერთთან ისე, რომ ქსელი განუწყვეტლად ეფინებოდეს საქართველოს და მის ავტონომიურ რესპუბლიკებს მთლიანად როგორც სიგრძეზე, ისე სიგანეზე, რათა შესაძლებელი გახდეს განუწყვეტელი და დაუბრკოლებელი მოძრაობა მთელი რესპუბლიკის ფარგლებში.

ეს გეგმა სამ. საგეგმო კომისიის მიერ მცირე შეცვლით მიღებულია და იგი გადაეგზავნა სამ. უმაღლეს მთავრობას დასამტკიცებლად.

მომავალ 1926—26 საბიუჯეტო წლიდან დაიწყება ამ გეგმის განხორციელება, ხოლო ეხლა არსებული გეგმა შეთანხმებულია ამ ახალ გეგმასთან.

ახალი გზა.

სამ. მთავარმა საკურორტო სამმართველომ მიმართა გზატკეცილთა სამმართველოს თხოვნით მიიღოს თავის თავზე გადაკეთება და აღდგენა გზატკეცილთა ქუთაის-წყალტუბოს საკურორტო გზისა ისე, რომ მასზე შესაძლებელი იყოს წრეევანდელი სეზონის გასვლისას საავტომობილო მიმოსვლის წარმოება.

გზატკეცილთა სამმართველომ მიიღო ეს წინადადება და მათ შორის მოხდა შეთანხმება საჭირო თანხის რაოდენობის გამოსაღებათ კურორტთა სამმართველოს მხრივ და გამომუშავებულ იქნა სამუშაოთა კალენდარული გეგმა.

გზატკეცილთა სამმართველოს მიერ უკვე გაგზავნილია ადგილზე საგანგებო რაზმი ინჟინერთა და ტეხნიკოსთა შემადგენლობით, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. იგი ერთის მხრივ აწარმოებს კვლევა-ძიებას და ამასთანავე ასრულებს სხვადასხვა სამუშაოებს, როგორც, მაგალითად, ქვის სხვადასხვა მასალების დამზადება. გზა დამთავრებული იქნება ერთი თვის შემდეგ და მისი საბოლოო თანხაც მაშინ გამოირკვევა.

საქართველოს სამხედრო გზა.

საქართველოს სამხედრო გზა მთელ მიმართულებით გაიხსნა და მიმოსვლა აღდგენილია; ასე რომ ამ თვის ბოლოში და მომავალი თვის დასაწყისში განზრახული სრულიად საკავშირო ავტო-გადარბენი: ლენინგრად-მოსკოვ-ხარკოვ-როსტოვ - მინერალურ წყლების—ბესლანის, კავკასის და თბილისის შორის უზრუნველყოფილია.

ამხ. ა. გეგეჭკორის დაბრუნება

18 ივნისს ბერლინის სანატორიუმში ნ კვირის განმავლობაში მკურნალობის შემდეგ თბილისში დაბრუნდა საქ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ა. გეგეჭკორი. ამხ. გეგეჭკორის ჯანმრთელობა საგრძნობლათ გაუმჯობესდა და ახლო ხანში ის შეუდგება თავის მოვალეობის შესრულებას.

ქრონიკა

რადიო-კონცერტი თბილისში.

20 და 21 ივნისს ნავთლუღის მძლავრ რადიო-სადგურზე საღამოს 5 საათიდან გადაიცემა ერთ კილოვატიანი ლამფის სადგურით, მოხსენება, მუსიკა და სიმღერა. თბილისში არსებულ ყველა ტიპის მიმღებ რადიო-აპარატებს შეუძლიათ მიიღონ ეს გადაცემა. გადაცემას ხელმძღვანელობს რადიო-ტეხნიკი ს. კასრაძე.

— **წარმოკავშირი** შეუდგა მწარმოებელ კოოპერატივებიდან ცნობების შეკრებას ხვევანდელ ნაწარმოებების რაოდენობის შესახებ.

— **უმუშევართა დაზღვევა.** 25-დან 29 ივნისამდე უმუშევართა დამზღვევი განყოფილება გასცემს ივნისის თვის დახმარებას.

— **მეფუტკრეობა.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა შემოიღოს ფუტკრის მოშენების ისეთი წესი, როგორიც არის ევროპაში.

— **აბრეშუმის დამზადება.** აბრეშუმის პარკის, თესლის და აბრეშუმის ქსოვილების დასამზადებლად უმაღლესი სამ. ურნეო საბჭო ივებს 3 ქარხანას: ორს დასავლეთ საქართველოში, ერთს აღმოსავლეთ საქართველოში.

— **თამბაქოს ნაწარმოების გასაღება.** უმაღლეს სამეურნეო საბჭოს გაუხარებია აქვს მოაწყოს თამბაქოს გასაღების საქმე ჩრდილოეთ კავკასიაში და თურქესტანში.

— **სატკეკ „არხანი.** ბორჯომის საკასრე ტკეცის დამამზადებელი ქარხანა მზად იქნება მომავალ წლის გაზაფხულისათვის.

— **ტყიბულის ნახშირი.** მიმდინარე წლის განმავლობაში ტყიბულის მაღაროებიდან ამოღებული იქნება 4,800 ათასი ფ. ნახშირი.

— **ხანქანების გამოწერა.** უმ. სამურნეო საბჭომ საზღვარ-გარეთიდან გამოაწერა მანქანები საქართველოში ხე-ტყის სახერხ ქარხნების მოსაწყობად.

— **ტყიბულის საავადმყოფოს** გაუსწყობესებლად სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასდო 4 ათასი მანეთი.

— **აჭარაც წყალტუბოში** 1 ივლისს გაიგზავნება დაზღვეულ ავადმყოფების მესამე წყება.

— **რენტგენის კაბინეტი.** ახლო ხანში ჯანსახკომი საზღვარ-გარეთიდან მიიღებს რენტგენის სხივების კაბინეტს კამის სახელობის საავადმყოფოსათვის.

— **სასოფლო-სამეურნეო ბანკი ბათომში.** აჭარის ეკ. საბჭომ შეიმუშავა აღძრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ბათომის განყოფილების აჭარის სასოფლო სამეურნეო ბანკად გადაკეთების შესახებ.

— **კავკასიის პოლიტიკური და ადმინისტრაციული რუქა.** გამოვიდა „კავკასიის პოლიტიკური და ადმინისტრატიული რუქა“ საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების გამოცემა. ღირს 1 მ.

— **მოხსენება მებალეობაზე.** ხვალ მიწამდომქმედების სასოფლო მეურნეობის ბუხეთის შესობაში (ჯორჯიაშვილის ქ. № 5.) ავროხომი თედელური წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მეხილეობა ყირიმში“.

— **მისიაობა ავადმყოფთა.** იუსტიციის სახ. კომისიარიატის კომუნალური ბლის წევრთა ის ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებულ დაიხლოებული იყო გარდაცვლილ ეკ ა.ძე. არუთიაკ ციაცაძესთან დაკაფლავების დროს გაროგვინის შეძენის ხაცვლად თანხას 72 მ. 50 კ. რაოდენობით სწირავს ს. ს. ს. რ. უხეიტის სასამართლოს საშეფო საცდელ-სანიმუშო პიონერ ბავშვთა სახლს.

— **განათლების მუშაკთა კრება.** კვირას, 21 ივნისს, დილის 10 საათზე, გან. მუშაკთა კლუბში (პლეხ. პრ. № 65) დახიბულია გან. მუშაკთა კავშირის წევრთა საეროთო კრება. დღის წესრიგი: 1) კლუბის ძიმავალი მუშაობა, 2) კლუბის წესდებისა დამტკიცება 3) კლუბის გამგეობის არჩევა.

— **პაექრობა.** კვირას ა | წ. ივნისის 21 სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობაში, დიდ აუდიტორიაში დანიშნულია საჯარო პაექრობა ფაკულ. თერაპიული კლინიკის ასისტ. ნ. მახვილაძის სადისერტაციო შრომის შესახებ შემდეგ თემაზე: „მასალები სისხლის მორფოლოგიის ცვლილებების შესწავლისათვის პელაგრის დროს“.

ახალი წიგნები.

— **გამოვიდა:** „ძველი და ახალი სვანეთი“, შედგენილი ეგნატე გამლიანის მიერ. გამოცემა სახელგამის. წიგნი შეიცავს 200 გვერდს;

— **„აფხაზეთის ისტორია“,** საქ. სახალხო უნივერსიტეტის ასისტენტის დიმიტრი გულიას მიერ შედგენილი.

